



№ 20
(4014)

1970 წ.
იანვარი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საპ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

თბილისის ტურნირის ლაურეატები

თბილისის საერთაშორისო ტურნირის თავისუფალ ჭილაბაში პირველად 1962 წელს ჩატარდა. მას შემდეგ ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში მონაწილეობენ სსრ კავშირისა და უცხოეთის უძლიერესი ათლეტები. ბევრისთვის ჩვენი რესპუბლიკის დელეატების სარბიელი იმდენიანი გამოდგა — ნიჭიერი ახალგაზრდებს მან გზა გაუხსნა დიდ სპორტში.

წლებადელი ტურნირი, რომელიც 30 იანვარს დაიწყო სპორტის სასახლეში, რიგით მეცხრეა. რვა ადრინდელ ტურნირში ყველაზე კარგი შედეგები, რა თქმა უნდა, სსრ კავშირის წარმომადგენლებს აქონდათ. უცხოელთაგან ყველაზე მეტი პირველი ადგილის მფლობელი ირანელი ფალავანი არან. ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა ხუთჯერ გაიმარჯვეს უმატეს წონაში და ერთხელ — მსუბუქში. სხვადასხვა დროს ირანელთაგან თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონები იყვნენ: ა. ხლდამანი (1963 წ.), ა. ქაილარი (1964 და 1968), ნ. ურასტლი (1966), გ. ხემეტეა (1967) და ა. მოვახედი (1964).

კარგი მაჩვენებლები აქვთ ბულგარულ ათლეტებსაც. ორი გამარჯვებული ქვემსუბუქ წონაში — ე. დინევი (1965) და ი. ტოდორევი (1968), ორი — ხიმე წონაში — ვ. კოსტოვი (1967), ვ. ვასილევი (1968) და ერთი, დ. მარინოვი — მსუბუქს (1967).

თბილისის საერთაშორისო ტურნირის ლაურეატები თითოჯერ იყვნენ მსუბუქი წონის წარმომადგენელი, მინილი დ. სრეტერი (1968) და სახელგანთქმული თურქი ფალავანი, ქვემსუბუქ წონის ათლეტი ა. აიკი (1965).

სსრ კავშირის ათლეტთაგან თბილისის ტრადიციული ტურნირის კურთხევა თითქმის ყველა უძლიერესს აქვს მიღებული. მათ შორის არიან ვეტერანებიც (ა. იბრაჰიმოვი, დ. მუშელიანი, ა. ალიევი, ე. თედევი, ა. ალბული, ა. ივანოვი, ა. ახანოვი), რომელთაგან ბევრი უკვე ჩამოცილდა სპორტს, და მოქმედი სპორტსმენებიც (პ. მალიანი, ზ. აბდულბეგოვი, ი. შახმურადოვი, ვ. გულუტკინი, ა. მელვედი).

მაგრამ ყველაზე მეტი წარმატება სალიის მასპინძლების წილად მოდის. თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვების რეკორდი ა. ცხოვრეშვილს ეკუთვნის, რომელიც ხუთჯერ (1964-1968 წწ.) იყო ჩემპიონი. ოთხ-ოთხჯერ აქონდათ I ადგილები ზ. ბერაშვილს (1962, 1963, 1965, 1969) და შ. ლომიძეს (1962, 1964, 1967, 1969). ტურნირის სამჯერს ლაურეატები არიან გ. ხლდამანი (1962, 1963, 1965) და ნ. ხოსაშვილი (1964, 1966, 1969). გამარჯვებულია შორის ორ-ორჯერ იყვნენ ს. ქარსაული (1963, 1966) და გ. გოგიაშვილი (1966-1967), თითოჯერ კი ზ. მუყრია (1962), ვ. რუბაშვილი (1962), თ. ასლამაშვილი (1967), ტ. ალიბეგაშვილი (1969) და ე. გოციანი (1969).

შარშან უძლიერესის სახელი ათ წონით კატეგორიაში გათამაშდა. 9 პირველი ადგილი ხვდით სამჭოთა ათლეტებს — რ. დიმიტრევი, ტ. ალიბეგაშვილს, პ. მალიანს, ზ. აბდულბეგოვს, ნ. ხოსაშვილს, ზ. ბერაშვილს, ე. გოციანს, გ. ხლდამანს, შ. ლომიძეს, ე. გოციანს. მხოლოდ მეორე საშუალო წონაში დასაკურთხა უძლიერესის სახელი ბულგარელმა რ. სრეტერმა.

ნ. ახვლედიანი.

სპორტის ტურნირები

ზესტაფონი

ბავშვთა სპორტსკოლის ბავშვებზე მეტად წელიწადი ნაყოფიერად მიუშავს საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთა გამაჯანსაღებელი ჯგუფები. სპორტსკოლის დირექტორის ა. კვეციტაძის ხელმძღვანელობით აქ გამოსასვლელ დღეებში იწარმოებინა ქალაქის დაწესებულებათა თანამშრომლები. ისინი თამაშობენ ხელბურთს, კალათბურთს, ფეხბურთს, მაგიდის ჩოგბურთს.

ბ. განუბრაძე.

ზუგდიდი

საქართველოს ნაკრების წევრის ი. ცხავას თაოსნობით მოეწყო ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მართლწერილი გადარბენა მარშრუტით თბილისი — ზუგდიდი (50 კმ). ფინიშთან პირველი მივიდა ი. ცხავა — 3:25.30. მეორე იყო ზ. ქარდავა.

პ. ბაქია,
„კომუნურის“ რაიხბლედი
თავმჯდომარის მოადგილე.

თერჯოლა


ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა ზედა საზონის საშუალო სკოლაში გამართული შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, შაშხა და მაგიდის ჩოგბურთში. შიდასასკოლო სპორტკლასად მოსწავლეობა დიდი უპირატესობა მიიზიდა.

რ. გველანიანი.

უკვე მესამე თვეა ლანჩხუთში მიმდინარეობს მოსწავლეთა რაიონული სპორტკლასი, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება. ნორჩი სპორტსმენები ათ საბეობაში ეჭირებებიან ერთმანეთს. ზოგიერთი ტურნირი, მათ შორის, მოკლდრაკ ვოგონათა გუნდური პირველობა, უკვე დათავრდა. გაიმარჯვა ლანჩხუთის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა (ე. ნაჭუბია, ნ. გობრონიძე). პირად პირველობაში სწორედ ამ გუნდის წევრმა ე. ნაჭუბიამ აჯობა ყველას.

სურათზე: ელენე ნაჭუბია (მარცხნივ) და ნინო გობრონიძე პარტიას არჩევენ.

ტექსტი და ფოტო
ბ. ვადაკორიანი.



მეორე მატჩი — გამარჯვება

შიბანიკი, 28 იანვარი. იუგოსლავიის ამ ქალაქში 5 ათასი მაყურებელი მიიწვია სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების შეხვედრამ ადგილობრივ „შიბანიკთან“ (ეს გუნდი ქვეყნის პირველობაში II ლიგის კოლექტივებში თამაშობს).

ეს იყო საბჭოთა ნაკრების წლევანდელი იუგოსლავიური ტურნის მეორე მატჩი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0 (2:0).

ჩვენს მიხედვით

სააკვზირო ველოგრაფია ეარანა

ალმა-ათა. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მე მეშიდე ვიყავი“ მიეძღვნა საკვზირო მრავალდღიან ველოგრაფიას, რომელიც შარშან ყაზახეთისა და ყირგიზეთის გზებზე, ტბა ისიკ-ყულის უღამაზეს ნაპირებზე და ღრუბლიანი უღელტეხილებზე ჩატარდა. ფილმის რეჟისორი და ოპერატორია თ. კარაყაევი.

ეკრანზე ვიხილავთ მინიშნულ ბრძოლას 2000-კილომეტრიან ტრასაზე. რეჟისორს მუშაობაში ეხმარებოდა ველოგრაფის მონაწილე, ალმათელი სტუდენტი ი. ტუსუბანოვი. სწორედ ისაა ფილმში მონაწილე.

ფილმი საკვზირო ეკრანზე გამოდგა. ეს კარაყაევისთვის პირველი ნამუშევარი როდია სპორტულ თემაზე. მას ეკუთვნის „ეტიუდები ტანვარჯიშზე“, „იმედის შედეგები“ — სსრ კავშირის ჩემპიონებზე, ყაზახეთის ფრენბურთელებზე, „ჩვენს თავზე ყა“ — საიუბილეო ალბინიადზე.

სათხილავრო სამეფოს ახალმოსახლანი

ლენინბრადი. კავკასოვოში, ლენინგრადის ახლოს, გაიხსნა კეთილმოწყობილი ტრასა მოციგავეებისთვის. 880-მეტრიანი უნდლის არხი სა-

მი მოსახვევითა და სიმაღლეთა 60-მეტრიანი სხვაობით საათში 70 კმ სისწრაფის განვითარების საშუალებას იძლევა.

ახალი სარბიელი პირველად მასპინძლობა — სპორტკლასებმა მოხიწყეს.

„ესტონია-16 მ“

ტალინი. ასე ჰქვია ახალ სარბიელ ავტომანქანას, რომელიც იდეალობრივ ავტოსარბიელ ქარხანაში შეიქმნა. ახალი მოდელი დიდად განსხვავდება ამ მარკის („ესტონია“) სხვა მანქანებისგან.

ახალ მანქანას, რომლის სერიალი წარმოებაც წლეულს დაიწყო, საათში 200 კმ-ზე მეტი სისწრაფის განვითარება შეუძლია.

სპორტული ტარმინების ლაქსიკონი

ბაქო. ეს ლექსიკონი ბაქოელმა ეურნალისტმა ა. რაგიმოვმა შეადგინა. წიგნი აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილია 5 ათასი აბტყვა სპორტის ყველა სახეობიდან.

რაგიმოვი წლების მანძილზე სწავლობდა ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარების ისტორიას აზერბაიჯანში, მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებს, სადაც რაიმე სპორტული ტერმინები იყო ნახსენები.

კვლევა დადასტურდა, რომ აზერბაიჯანში ძველთაგანვე პოპულარული იყო დიდი, ფარციაობა, მშვიდდღისობა, ეროვნული ჭილაობა „გოულეშა“, აკრობატიკა, ცურვა, ორფუთიანი ორბირთულებით ვარჯიში.

ეპაღებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

რების კაპიტანმა პ. კვეცმა პოზიცია არც ასლა დათმო: ჯერ 95, შემდეგ 108 მეტრზე გადასტა, 231,5 ქულა დააგროვა და გაიმარჯვა. II-V ადგილები საბჭოთა ნაკრების წევრებმა გ. ნაპალკოვმა (98 და 103 მ — 226,5 ქულა), ვ. ბელუსოვმა (92 და 102 — 220,5), ა. ჟეგლანოვმა (92 და 103 — 219,0) და ა. ივანოვმა (97 და 98 — 218,5) დაისაკუთრეს.

ჩემოსლოვაკეთა გუნდის ლიდერი, ოლიმპიური ჩემპიონი ი. რაჟკა საფრანგეთ — შეიყვარა — იტალიის ტრამპლინების ბოლო ტურშიც (კორტინა დ'ამპიეო) შესანიშნავად სტებოდა (82 და 81 მ), 234 ქულა მოაგროვა და სამი ტრამპლინის ჯამში დიდი უპირატესობით მოუგო თანაგუნდელ რ. ჰენლის, რომელიც ისე, როგორც წინა ორ ტურში, აქაც II ადგილზე გავიდა — 81 და 80 მ, 229,4 ქულა. გუნდურ ჩათვლაშიც ჩემოსლოვაკელებმა გაიმარჯვეს. II ადგილ-

ში არიან იუგოსლავიის „მფრინავი მოთხილამურები“.

სპეციალისტები აჯამებენ ამ ორი ასპარეზობის შედეგებს (ადრინდელი მაჩვენებლების გათვალისწინებით) და ერთხმად აღიარებენ, რომ მათგან ჩემპიონატში „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრებას კვეცი ან რაჟკა მოიგებს. მათი აზრით, ადგილი შესაძლებელია, ორივე ჩემპიონი გახდეს, თუ ერთი დიდ, მეორე კი საშუალო ტრამპლინზე გამოვა.

თხილამურმა უმტყუნა

ბიატლონიში ბელორუსიის თაის გათამაშებაში სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატებიც მონაწილეობდნენ. სწორედ ამ ტურნირის უნდა გაეცა შოუ-

ჩოგბურთელს ზამთრის სესიები დაეწყოს

კიევი, 27 იანვარი. გუმინ აქ დაიწყო ზამთრის ტრადიციული საკვზირო ტურნირი ჩოგბურთში. თავდაპირველად ბრძოლაში ნაკრები გუნდები ჩაბნენ. უკრაინის კოლექტივმა დაამარცხა ბელორუსიის გუნდი — 6:0, მოსკოველებმა სძლიეს აზერბაიჯანის წარმომადგენლებს — 5:1. აზერბაიჯანის ნაკრებს ერთადერთი ქულა მოუტანა ს. ლიხაროვმა, რომელმაც დაამარცხა ა. ვოლკოვი.

კვიკი, რაშკა, თუქ..

ეგრობელმა „მფრინავმა მოთხილამურებმა“ ორი დიდი ტურნირი გამართეს. ერთი ჯგუფი გდრ-ში „მეგობრობის თასისთვის“ იბრძოდა, მეორე — საფრანგეთის, შეიყვარისა და იტალიის ტრამპლინებზე ასპარეზობდა. სსრ კავშირის სპორტსმენები „მეგობრობის თასის“ გათამაშებაში კარგად გამოვიდნენ — II ადგილი აიღეს (პრიზი გდრ-ის მოთხილამურებს ხვდათ). ბოლო ტურში ობერჰოფის ტრამპლინზე საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდური გამარჯვება იხვეჭეს.

პირად შეჯიბრებაში გდრ-ის ნაკ-

ივრეწული გიგლიოთქა

საპარტიო სეზონმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკვე სტარტი აიღო. „მოფარიაკვეთა არდადეგები“ ერთობ სანთოკე აღმოჩნდა, მაგრამ მარშანდელი სეზონი არავის დაიწყებია. არ დაიწყებიათ იმიტომ, რომ თეი მკაცრი გამოცდა იყო ჩვენი მოფარიაკვეთისთვის. ამდენად, პირველმა სერიოზულმა სახალწლო შეჯიბრებებმა გვიჩვენა ქართველ მოფარიაკვეთა მზადყოფნა და მათი მისწრაფება ძველი რეპუტაციის აღდგენასკენ.

მაშ ასე, მუშაობენ კვლავ „იმი-შეღეს“ იარაღი და საფარიაკათ ბილიკებიც კვლავინდებურად ახმაურდა. საქართველოს თასის გათამაშება, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა თბილისის „ბურვესტნიკის“ დარბაზში, ტრადიციის მიხედვით, ესპანოლისტებმა გასწავს. უნდა აღინიშნოს, რომ სმლით მოფარიაკვეთები, სხვისგან განსხვავებით, ამ ბოლო ხანაზე საკმაოდ დამაჯერებლად გამოდიან საკავშირო და საერთაშორისო სახეობებში. მათი „დეკლარაცია“ მ. სხვადა კვლავ სსრ კავშირის ნაერების კანდიდატი გახლდათ. მორისმა მალაღი ოსტატობა ერთსულ კიდევ გამოავლინა რესპუბლიკის თასის გათამაშებაში. იგი იბრძოდა გააზრებულად, დამაჯერებლად, მისი საფარიაკათ პალიტრა კიდევ უფრო გამდიდრდა ახალი ტექნიკურ-ტაქტიკური ხერხებით. ვეტრანი კვლავ მზად არის საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის. სხვადაც არაკიბარი იმედი არ დაუტოვა თავის უსლოეს მტრებზე, დიდი უპირატესობით დამარცხა ისინი და შეჯიბრების დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე გაინაღდა პირველად.

კარგია ეს თუ ცუდი? რა თქმა უნდა, საპარტიო, რომ ვეტრანი კვლავინდებურად გვახარებს დასვეწული ოსტატობით, მაგრამ დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ მისი პარტიორობი ბოლო ხანს ღირსეულ წინააღმდეგობას ვერ უწევს სმლით მოფარიაკვეთა ლიდერს. ამ მხრივ საკვლისხმოა სახეობა და კაბუკთა შორის მოფარიაკის ექს-ჩემპიონის გ. ლორთქიფანიძის შეხვედრა. სხეობისტები იმედოვნებდნენ, რომ ეს იქნებოდა მწვავე ბრძოლა, სადაც ორივე მტრეთა გამარჯვების თანაბარი შანსი ექნებოდა. მაგრამ ბოლოდღინი არ გამართლდა. სახეობამ ამჯერად შედარებით იოლად ჩამოაშორა გზიდან ეს კონკურენტიც (ა. გოგელია II ადგილი დაიკავა). საბოლოოდ, ლორთქიფანიძე IV ადგილზე აღმოჩნდა, რაც მისთვის აშკარად შეუფერებელი შედეგია. საერთოდ, ეს ნიჭიერი სპორტსმენი ჩვეულებრივად გამოდის ბოლო შეჯიბრებებში. რა ხდება? ლორთქიფანიძე მოფარიაკვეთა შორის განსაკუთრებული მორისოფარიაკობით გამოირჩევა. ამას დაუმატეთ მისი საუკეთესო ბუნებრივი მონაცემები, გამარჯვებულში მალად ტექნიკაზე და მიზანსწრაფვაზე. მაგრამ არც ის არის საიდუმლო, რომ ბოლო წლებში ლორთქიფანიძე რატომღაც დამოუკიდებლად, უმწვერთნოვად ვარჯიშობს. ამას კი არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს სპორტსმენზე, განსაკუთრებით, მოფარიაკვეთე ცნობილია, რომ მწვერთნული ფარიაკობაში ჩვეულებრივი მითითებებით კი არ იფარგლება, არამედ უშუალოდ მონაწილეობს სპორტსმენის წყობის პროცესში.

ბოლო დროს ფარიაკობა შორის მტკიცედ დამკვიდრა ადგილი ნიჭიერმა ასალგაზრდა მოფარიაკემ თ. უკლებამ. მართალია, იგი ამ შეჯიბრებაში V ადგილს დასავრდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ სპორტსმენის ოსტატობა ტურნირიდან ტურნირამდე იზრდება. როგორც თასის გათამაშებამ ცხადყო, უკლებმა თანდათან ძალას იკრებს და ტექნიკურად ეწინააღმდეგება დიდი ასპარეზობებისთვის.

ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა თასის გათამაშების შედეგად პრიზორმა რ. ბინინაშვილმა. მისი კონსტრუქციის მარჯვნივ დაუკლებელი ღრულება, აგრეთვე იმიტომ, რომ იგი ცაყია, რაც ურთველ უპირატესობას ანიჭებს სმლით მოფარიაკებს.

ერთპიროვნული ლიდერი თავიდანვე გამოიკვეთა რაპირისტ ქალთა შეჯიბრებაშიც. ეს იყო მ. კოსტრიძე, რომელმაც ძალზე იოლად დაჯანა კონკურენტები და თასიც მას დარჩა. სინაუსულით უნდა აღინიშნოს: მას შემდეგ, რაც სხვადასხვა მიზეზის გამო წამყვანი

ნი მოფარიაკეები გ. ვიორგაძე და რ. კვეკელი აღარ ასპარეზობენ, ქალთა შეჯიბრებებში დაკარგა ძველებური შნო და იერი.

როგორი თაობა მოდის მათს სანაცვლოდ? ამაზე პასუხი უნდა გავცა დახარჩენი საპირისო ადგილების მადიუ-მელთა გამოსვლებს. პირველ ყოვლისა უნდა დაგვასხვლოთ დ. ჩიქოვანი, რომელმაც II ადგილი დაიკავა. ურიგოდ არ უასპარეზიათ ფინალის სხვა მონაწილეებსაც. ჭიდილი იმდენად დაძაბული გამოდგა, რომ III ადგილის ბედი გაირკვა მხოლოდ დამატებითი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ერთბაშად რამდენიმე პრეტენდენტი მონაწილეობდა. საბოლოოდ ამ „მიკროტურნირში“, სადაც გამოდიოდნენ თბილისელები ე. ჩაქანაშვილი, ს. სვანიძე, ნ. დობორჯინიძე და რუსთავეის წარმომადგენელი ნ. ლაბაძე, გაიმარჯვა ამ უანასხვლად.

შეძლებენ თუ არა უახლოეს დროში ეს მოფარიაკეები თავიანთი ცნობილი წინამორბედების ღირსეულად შეცვლას? ფიქრობთ, ამ საკითხზე საუბარი ჯერ ნაადრევია. დავუცადოთ შემდეგ შეჯიბრებებს. ისე კი, ამათივე შეიძლება ითქვას, საამისოდ მათ არც მონდობება აკლიათ და არც მონაცემები.

რაპირისტ ვაჟთა ასპარეზობამ ცხადყო, რომ ამ იარაღის წარმომადგენლებს კიდევ დიდი მუშაობა მართებთ, რათა ფარიაკობის თანამედროვე დონეზე ავიდნენ. ამჯერად, შეჯიბრებებში საკმაოდ უდიდობად ჩაიარა. პირველი სამი ადგილი შემდეგი თანამედრობითი განაწილდა: ბ. მათითაიშვილი, ნ. ჩიტიშვილი, ა. აფციაური.

როგორც სპორტული, ისე სანახაობრივი თვალსაზრისით, ყველაზე სინტეტურად გამოდგა დამნით მოფარიაკეება ასპარეზობა. შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც უზრდია, რომ საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ საფარიაკათ ბილიკზე კვლავ გამოჩნდა სპორტის დამასურებელი ოსტატები გ. კოსტავა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მისმა მონაწილეობამ პაქრობას სიმწვავე და, თუ გნებავთ, მეტი სოლიდურობა შესძინა. კოსტავამ კვლავ დაამტკიცა, რომ ტოლი არა ჰყავს დამნით მოფარიაკვეთა შორის. იგი იბრძოდა ჩვეული ოსტატობით, რასაც დაემატა გამარჯვების დიდი წყურვილი და აზარტი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ რესპუბლიკის თასის მფლობელებს ეძლევა.

კოსტავას გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა და ეს ასევე მოხდა. მაგრამ ყველას აინტერესებდა სხვა საკითხი: რამდენად მომზადებულია იგი საკავშირო ასპარეზობისთვის? რა თქმა უნდა, სანგრძობა შესვენებამ ერთგვარი კვალი დააჩინა ამ სპორტსმენის მზადყოფნას, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საკავშირო შეჯიბრებამდე დარჩენილ დროში გურამი საკვებით აღიდგენს სპორტულ ფორმას.

დიდ იმედს იძლევა ასალგაზრდა მოფარიაკე გ. შურაბაძე, რომელმაც II ადგილი მოიპოვა. იგი იბრძოდა თამამად, მიზანსწრაფულად და, რაც მთავარია, ტექნიკურად. III ადგილი დარჩა სპორტის ოსტატ შ. სულამანიძეს.

ლიდერებს ტოლი არ დაუდო კაბუკმა სპორტსმენმა ვ. ქათამაძემ. მისი უოგერით ბრძოლა სანთოკე იყო. ეტყობა, ნიჭიერი სპორტსმენი დაუღალავად ვარჯიშობს და ამას კარგი შედეგიც მოაქვს.


და ბოლოს, ორივე სიტყვა თასის გათამაშების ორგანიზაციის შესახებ. პრესაში ბევრჯერ გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები შეჯიბრებების დაბალი დონეზე ჩატარების თაობაზე. ამჯერად სამდღავი არ გვეთქმის. შეჯიბრება თავიდან ბოლომდე ისე იყო ორგანიზებული, რომ სპორტსმენებს თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის ყველა პირობა ჰქონდათ.

ტ. მენსი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვერთნელი.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

ს უ რ ა თ ე ე: შეჯიბრების მომენტები.

ფოტო ი. იუნავეისა.



5,5 ქულა პეპსილან

ვეიკ-ან-ზეეს (პოლანდია) ტრადიციული საქადრაკო ფესტივალის ქალთა ტურნირში სსრ კავშირის ჩემპიონმა ნ. ალექსანდრამ კვლავ ისახელა თავი: VI ტურშიც სძლია მეტოქეს. ახლა ნანას 5,5 ქულა აქვს. იგი 2 ქულათი უსწრებს უახლოეს მეტოქეებს ვ. ახენოვასა (ბულგარეთი) და მ. ტეოდორესს (რუმინეთი).

საქართველოს ვაჟთა პირველობის ნახევარფინალის დასკვნით, IX ტურში დიდი ბრძოლა გაჩაღდა ფინალისა და ვ. ქარსელაძის მემორიალის საკავშირისთვის.

როგორც „უელს“ გეშინდელ ნომერში ვიწყებდით, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს დ. გელგვანიშვილმა (თბილისი) და ლ. ნურთონოვმა (ბათუმი).

გ. ქარსელაძის მემორიალის ორ საკავშირე უფალი ეჭირათ ა. რაზოვსკის (ქუთაისი), გ. კუთარაშვილს (გორის რაიონი), ა. გავუსს, ო. თურქეტიანიშვილს (ორივე — თბილისი) და ი. მანაშროვს (ხაშური). ბედმა მხოლოდ პირველ ორს გაუღია. რაზოვსკიმ და კუთარაშვილმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები მანაშროვთან და გელგვანიშვილთან და 6,5-6,5 ქულათი საკავშირეები მოიპოვეს. ამდენივე ქულა მოაგროვა გავუსამც (მოუგო გურჯაანელ ვ. დურგულაშვილს), მაგრამ მას კომპიციენტობა (ბუქოლცის) ცხრილით ადგილი მაჩვენებელი აღმოაჩნდა. თურქეტიანიშვილს ნურთონოვთან უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ მისი სიბრძნით ცაიტნოტში შეცდა და დამარცხდა.

ნახევარფინალი დამთავრდა. საბოლოოდ მონაწილეები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1-2. გელგვანიშვილი, ნურთონოვი — 7,5-7,5 ქულა, 3-5. რაზოვსკი, კუთარაშვილი, გავუსა — 6,5-6,5, 6-7. მანაშროვი, მ. ძინელაძე (თბილისი) — 6-6, 8-11. ა. თავადადიშვილი (ქუთაისი), თურქეტიანიშვილი, გ. მუხინაშვილი (გორა), გ. შოგრაძე (ზუგდიდი) — 5,5-5,5, 12-18. ა. გიორგაძე (სოსხუმი), ა. ყურაშვილი (ბათუმი), ვ. ბადალიანი (მარნეული), ტ. ხარლამიძე (ქუთაისი), ნ. ნაროშვილი (გარდაბანი), გ. ბიბილაშვილი (რუსთავი), დურგულაშვილი — 5-5, 19-22. მ. არჩვაძე (სამტრედიანი), ო. ბენდელიანი (ზუგდიდი), პ. მარკოვი (ფოთი), დ. ქუც-

ნუნა გუნდი იმარჯობს

გეშინწინ მოსკოვში, ცენტრალურ საქადრაკო კლუბში, შედგა საბჭოთა და იუგოსლავიელ მოჭადრაკე ქალთა ოთხწიანი აშხანაგური მატჩის III ტური. ამ დღეს ყველა საბჭოთა მოჭადრაკემ გაიმარჯვა. მოხვლითა და ევროპის ჩემპიონის ნ. გავრინაშვილისა და საერთაშორისო ოსტატ მ. ლაზარევიჩის პარტიაში ბრძოლის ბედი ქართველი ოსტატის გამსვლელმა პაიკმა გადაწყვიტა. 84-ე სვლაზე ლაზარევიჩი დანებდა.

კარგად იბრძოლა ტ. ზატულოვსკიამაც. მას მხოლოდ 88 სვლა დაჰქირდა კ. იოვანოვიჩის დამარცხებისთვის. დღეს შედგება დასკვნითი, IV ტური.

აი, როგორ გამოიყურება ახლა მეგობრული მატჩის შედეგების ცხრილი:

	I	II	III	III	II	I
ნ. გავრინაშვილი *	1	1		0	0	* მ. ლაზარევიჩი
ა. კუშნირი	0,5	1	1	0	0	0,5 თ. ბელმარჩი
ტ. ზატულოვსკია	0	1	1	0	1	1 კ. იოვანოვიჩი
ე. რუბცოვა	1	1	1	0	0	0 ლ. ვიკოვიჩი
ნ. კონოპოვია	0	1	1	0	0	1 ტ. ვიანოვიჩი
ვ. კოვლოვსკია	1	1	1	0	0	0 ზ. ტორმა
	2,5	5	6		0	1 2,5

* — პარტია გადაღებულია.

ყველა საგზური ბანაწილდა

თბილისელი (საგარეო) — 4,5-4,5, 24-31. რ. ჩიბიძე (ლანჩხუთი), ტ. ლომოზაგა (ქობულეთი), ა. შიქაძე (რეზა), ნ. ბურკაძე (ორივე — ქუთაისი), თ. ფრანკი (რუსთავი), გ. მთავრელიძე (გორის რაიონი), ნ. ლომია (ცხაკია), ა. სუმელიანი (მესტია), ს. კიკელაშვილი (ლაგოდეხი) — 4-4, 32-34. თ. კობახიძე (ტყეშელაშენი), ბ. გოგლაძე (ასპოციხი), მ. ჩაგუნავა (სოსხუმი) — 3,5-3,5, 35-38. დ. გელგვანიშვილი (ქარელი), ლ. ზაიდერი (სოსხუმი), მ. ჭრუჭრუჭიანი (თბილისი), ჯ. ინჯია (გორი) — 3-3, 39-40. მ. დლოძი (მანაშროვი), ლ. ქუხილაძე (წალენჯიხა) — 2,5-2,5, 41. ს. გორაძე (წულკიძე) — 2, 42. ტ. კობაშვილი (საგარეო) — 1.

ნახევარფინალში უფრო კარგად გავაყვით ქალაქებისა და რაიონების უძლიერეს მოჭადრაკეთა შემოქმედებმა.

19 წლის დ. გელგვანიშვილი პერსპექტიული მოჭადრაკეა. სასიხარულოა, რომ გულმოდგინე შეცადინებამ ასეთი შესანიშნავი წარმატება მოუტანა მას. ლ. ნურთონოვი კარგა ხანია დაწინაურდა აჭარის ტურნირებში. მასაც სიმედო მომავალი აქვს.

ქუთაისის ჩემპიონს რაზოვსკის კარგად იცნობს ჩვენი საქადრაკო საზოგადოებრიობა. იგი გამოცდილი მოჭადრაკეა და ამიტომ მისი წარმატება არავისთვის არ არის გასაკვირი. პირიქით, რაზოვსკისგან მეტი იყო მოსალოდნელი.

დიდი წარმატება ხვდა გორელ ზოტტენიკოსს გ. კუთარაშვილს. იგი მოწოდებით პრობლემისტი და ბევრჯერ უსახლებია ამოცანებით თავი საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურენტებში. როგორც ჩანს, ნიჭიერი ასალ-

ნახევარფინალი

აქ გამართა რაიონის პირველობა მაგდის ჩოგბურთში მოსწავლეთა გუნდებს შორის. I ადგილი დასაკუთრა ჩაისუბნის საშუალო სკოლის ნაკრებმა, II — ერკეთის, III — შუა განახლების საშუალო სკოლის კოლექტივმა.

ჩოგბურთში
განათლების განყოფილებისა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიონის თაოსნობით მოეწყო ვ. ი. ლინინის დახმარებით 100 წლის თავისდომი მიძღვნილი შეჯიბრება ჰადრაკში მასწავლებლების შორის. რაიონის ჩემპიონი გახდა ლ. გავაშვილაშვილი (პიონერთა სახელობის). II ადგილზეა გ. ბერძენიშვილი (გოგოლესუბანი), III — ი. ბასილია (ჩაისუბანი).

დ. გურგენიძე,
სოფელ კონხარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.



სსრ კავშირის XXXVII ჩამვირთვა



პირველი უსიურპრიზო ტური

გუშინწინ კანასასა და კიევი სტარტი აიღო კალათბურთული ვაჭარა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრეში.

კანასაში. ტურის ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „სპარტაკი“ და მოსკოვის „დინამო“. მოსკოველებმა, რომლებმაც აღმავლობით ჩაატარეს პირველი წრის ბოლო მატჩები, ამჯერად გამარჯვებულნი რჩებიან დაიწყეს თამაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ნევისპირეთის წინააღმდეგ მათ ბედი არ სწყალობთ. „სპარტაკმა“, ისევე, როგორც პირველ წრეში, ჯერ გაანდოა მეტოქის საბრძოლო ერთი, მეორე თამაშის რიტმში სასურველ კალაპოტში მოაქცია და ამის შემდეგ თავისი უპირატესობის რეალიზაციას შეუდგა. საბოლოო გაში — ნევისპირეთის დამარჯვებელი გამარჯვება 17 ქულის უპირატესობით — 94:77.

თბილისის „დინამოს“ და „ბურჯგანის“ შეხვედრა ტრადიციულად მასფინო და შუპოვარი გამოდგა. იქვე, როგორც პირველ წრეში, უპირატესობა ამჯერადაც დინამოელთა მხარეს იყო — 94:86.

ადგილობრივ „უალვირისმა“ გერმანიის მასპინძლობა გაუწია ალბათის „ლოკომოტივს“, რომელმაც თბილისელებს კვირის წინ პირველი წრის მატჩში ბევრი უსამართლო წუთი განაცდინა ლიტვლებს. მაშინ „უალვირი“

სმა 2 ქულით სძლია მეტოქეს, ამჯერად კი პირდაპირ გაანადგურა იგი — 91:68.

მიწვი. აქაც პირველი დღე ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე ჩატარდა. სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ ადვილად მოუგო აუტსაიდერს — სვერდლოვსკის „ურალმაშს“ — 100:62.

ტარტუს „კალევა“ დაამარცხა რიგის ასე — 95:72. აღსანიშნავია, რომ ეს იყო არმიელთა შედინედი მერვე წაგება.

კიევის ორი გუნდის — „სტროიტელი“ და ასკ-ს ორთაბრძოლა პირველის გამარჯვებით დამთავრდა — 86:75. გასაკვირი თითქოს არაფერია. წლევიანდელი ჩემპიონატის ლიდერი „სტროიტელი“ ოპტიმიზტურად უყურებს მომავალს და მისი პრეტენზიები უსაფუძვლო რჩება. თანაქალაქელთა დამარცხება, რომლებიც წლეულს გაცილებით სუსტად თამაშობენ, თითქოს არაფერს უნდა ნიშნავდეს. მაგრამ, დარწმუნებული ვართ, „სტროიტელი“ უსიამოლო კამათი ამ ქულით, ვინაიდან მისთვის ყველაზე „მოუხერხებელი“ მეტოქე სწორედ არმიელთა კოლექტივია. ამ სიტყვების საილუსტრაციოდ კმარა პირველი წრის მატჩის გასვენება, რომელიც არმიელთა 19 ქულით მოიგეს.

ირბინათ, ირბინათ და ბამბოქანბრთელდებით

თანამდროვე საერთაშორისო მედიცინა უღაღეს ყურადღებას აქცევს გულის დაავადებებს. მსოფლიოს კლინიკებში წარმოებს სხვადასხვა სახის დაკვირვებანი, ექსპერიმენტები, ურთულესი ოპერაციები, რათა კაცობრიობა გადაურჩეს გულის დაავადებით გამოწვეულ კატასტროფულ დანაკარგებს, ინვალიდობასა და სიკვდილიანობას.

სულ ახლახან „ივესტის“ ყოველკვირეულ დამატება „ნედელიაში“ გამოქვეყნებული იყო საუბარი გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერთან და ქირურგთან, პროფესორ ნ. ამოსოვთან, რომლის კლინიკაში გაკეთებულია გულის 6.000-მდე ოპერაცია. ნ. ამოსოვი — ამტკიცებს: მხოლოდ მაღალ ტექნიკურ და დიდი დატვირთვით ჩატარებულ ყოველდღიურ ფიზიკურ ჯანჯანში შეუძლია გააჩინოს, გაამარცხოს გული. საბჭოთა მედიცინა და ვალიდოლი არ შევლის საქმეს. საჭიროა მაღალი, ინტენსიური დატვირთვა, შევლულა ჭამაში, სიარული, რბენა, რომ გული — ადამიანის ორგანიზმის ეს მოტორი — მუდამ იდგეს მწუხრში. ძველი შეხედულება საწყნარისა და უმოძრაობის შესახებ არაა სწორი და დამლუპველია. პროფესორი პირდაპირ ამბობს: „გული თქვენს ხელთაა. მის დიეთ ფიზიკურ კულტურასა და სპორტს“.

მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, ცნობილი კარდიოლოგი, პროფესორი გ. კოსიცი მთლიანად ეთანხმება ამოსოვს. აი, მისი სიტყვები:

„არსებობს შეხედულება, თითქოს ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე მანქანის მსგავსად იცვითება. ამიტომ ბევრი ცდილობს დაიცვას თავი ფიზიკური დატვირთვისგან. მათ მიანიშნავს, რომ დასვენება ახანგრძობებს სიცოცხლეს, იცავს გულ-სისხლძარღვთა დაავადებისგან. ეს შეხედულება ძირშივე მცდარია“.

კოსიცი გვათავაზობს რბენას, ველოსიპედს, ტანვარჯიშულ კომპლექსს, სწრაფ სიარულს დაახლოებით 10 კილომეტრამდე დღეში, ფეხბურთს, ფრენბურთს, ბაღმინტონს...

კოლეგებს მხარს უჭერს მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, პროფესორი ვ. ნავრონი.

— გულის გავარჯიშებისთვის საჭიროა მაღალი დატვირთვა, — ამბობს იგი. — ათი ბუქნი, ორჯერაც რომ შეასრულო დღეში კვალს არ დატოვებს. საჭიროა რბენა, სწრაფი სიარული, თხილამურები, სპორტბაშები, ტანვარჯიში. თუ ეს რეგულარულად მორბედა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, გულის კუნთი მაგრდება, ამტანი ხდება.

ამ ახალ მიმართულებას იზიარებენ უცხოელი სპეციალისტებიც. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთელს მოძრაობასაც კი ჩაუყარა საფუძველი, რომელიც მიზნად ისახავს ავადმყოფი გულის გამოჯანსაღებას და ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებას.

დღეს ჩვენ ვებძვით გდრ-ის გზით „დორიეს შპორტ-ქოშოში“ გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიც მოცემულია რეკომენდაციები რბენაში შეცადინების მსურველთათვის.

იმედი გვაქვს, ჩვენი ექიმები, ქირურგები, სპეციალისტები გამოეხმებიან ამ წერილს და მოგვაწვდიან თავიანთ მოსაზრებებს, გამოვლენ პრაქტიკული რჩევა-დარიგებებით, სასარგებლო სტატიებით.

დავსაქმიანები რაბინაშუი

დამზადების მასობრივად მდებარე პატარა ქალაქი რაბინაშუი ცენტრალურ უაღრესად საინტერესო და სასარგებლო ექსპერიმენტისა, რომელიც მერე მთელ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მოედო.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ რაბინაშუის მცხოვრებელთა წინაშე სიტყვიერ გამოცდა ცნობილი მწერთაგან და მეცნიერი მანფრედ რაისი. „ჩვენ ჩაატარეთ გულმოდგინე გამოკვლევა 25 წლის ასაკის ვაგებს შორის, რომლებიც არ შეცადინებენ სპორტში, — თქვა მან, — და 50 წლის მამაკაცებს შორის, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ რბენაში სპეციალურად შექმნილ ჯგუფებში. მიუხედავად ესოლენ დიდი განსხვავებისა წლებებში, გულ-სისხლძარღვთა სისტემა შემოწმებული ასალგაზრდობისა და ხანშესაღწევის ერთნაირი პირობათ. ამ მონაცემებში, აგრეთვე, სხვა დაკვირვებთა შედეგად მიღებულმა დასკვნებმა დაგვარწმუნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რბენას ადამიანის ჯანმრთელობისთვის“.

ამ სიტყვებს რაისმა დაუმატა ახალი წვლანდიდან მიღებული ცნობაც, სადაც მწერთაგან ა. ლიდიარდმა ანალიზი გააკეთა რაბინაშუის ხანშესაღწევის შორის. მან თავი მოუყარა გულით ავადმყოფთა საკმაოდ დიდ ჯგუფს, გარკვეული სისტემით შეცადინა ისინი და რამდენიმე ხნის შემდეგ დარწმუნდა დიდ პროგრესში, მათს სრულ შრომისუნარიანობაში.

რაისის ამ ინფორმაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველამ იცის, თუ როგორ ფართოდ გავრცელდა ბოლო ხანებში გულის მოქმედების შესუსტებასთან დაკავშირებული ავადმყოფობები. საკმარისია ითქვას, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სიკვდილიანობის შემთხვევათა ნახევარი გამოწვეულია სწორედ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ავადმყოფობით.

რაბინაშუს მრავალმა მცხოვრებელმა თხოვნით მიმართა რაისს დაეწყო მათთან გამაჯანსაღებელი მეცადინეობანი რბენაში. მწერთაგან შეადგინა ასეთი ჯგუფები, წამოწყებას აქტიური მხარდაჭერა აღმოუჩინეს გდრ-ის სპორტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, პრესამ.

რსომიერი. ტემპის რეგულირება საჭიროა საათის დახმარებით, რაც სულ უბრალოდ ხდება: თუ რბენა გაანდარიშებულია 6 წუთზე, 3 წუთი უნდა ირბინო ერთი მიმართულებით და 3 — იმავე მიმართულებით უკან. თუ დისტანციის მეორე ნახევარი განვლილია იმავე დროში, რა დროშიც პირველი, ეს ნიშნავს, რომ რბენის ტემპი თანაბარსომიერი იყო.

გერმანელი სპეციალისტები გვირჩევენ ვარბინით დილობით, არაუადრეს 10 წუთისა გაღვიძების შემდეგ და არაუგვიანეს ნახევარი საათისა საუხემდე. რბენა საჭიროა ყოველდღე. თუ ეს მხოლოდ მოსასვენებელია, დასაშვებია საჭიურ გვარში (მინიმალური ნორმა — ორჯერ).

რბენამ უსამართლო გრძობა არ უნდა გამოიწვიოს მომეცადინეში. თუ დატვირთვა დასაწყისში დიდი გამოცდა, საჭიროა ტემპის შენელება და ვარჯიშის დროის შემცირება. კი. ტემპი უნდა გაიზარდოს მაშინ, როცა ადამიანში წარმოიქმნება სურვილი და შესაძლებლობა უფრო სწრაფად რბენისა, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს რბენის თანაბარსომიერების ხარჯზე. 4 თვის მანძილზე ასე მეცადინეობის შემდეგ რბენის ხანგრძლიობა თანდათან უნდა გაიზარდოს.

ამყამად გდრ-ში შექმნილია სპეციალური კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ მასობრივ მოძრაობას სახელწოდებით: „ირბინე ჯანმრთელობისთვის“. კომიტეტის თავმჯდომარეა ცნობილი კარდიოლოგი და ფიზიოლოგი, პრიფესორი ალბერტ ვალენბერგერი. მან განუცხადა „დორიეს შპორტ-ქოშო“ კორესპონდენტს: „რბენა უდიდეს გამოაჯანსაღებელ ფაქტორს ასდენს გულის მოქმედებაზე. რეგულარულად წარმოებული თანაბარსომიერი რბენა ამცირებს პოლუსტერინის რაოდენობას სისხლში, ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას, გული თანაბარსომიერად მუშაობს. ადამიანს, რომელიც სისტემატურად დაბრბის, პრაქტიკულად შეუძლებელია ინფარქტი ჰქონდეს. საყურადღებოა შეიცადინების ქალაქ ბლატენბორგის მეციდრთა ჰავაიონი. ეს ქალაქი მთებითაა იზოლირებული გარე სამყაროსგან. ტრანსპორტის უქონლობის გამო პლატენბორგელებს გამუდმებით უნდათ რბენა. მართალია, ეს მთლად მოხერხებულს ვერაა, მაგრამ სამაგიეროდ ქალაქში ავადმყოფ ადამიანს ვერ ნახავთ. მე მესმის, რომ ხანშესაღწევის ადამიანებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რბენაში შეცადინების დაწყება, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც შედეგები წინა აქვს, მაგრამ რეგულარულად რბენა, შეთავაზებული ჭამაში გამოკვეთი შევლულდობისთან, სწრაფად გამოიღებს საჭირო ნაყოფს. დასაწყისში იცის კუნთების პატარა ტკივილი, მაგრამ ეს მაღე გაივლის. თუ გაძინდა სუნთქვა ან თავი ირინა ფერდში ჩხუტებამ, საჭიროა მიერ ხნით სიარულზე გადასვლა და შემდეგ — ისევ რბენა. გასაგებია, რომ ბევრს სიარული ურჩევია. ეს უფრო სასამართლოა და არ ქანსავე ადამიანს, მაგრამ სიარული ვერაზოდს მოიტანს ისეთ ეფექტს, როგორსაც რბენა“.

მოგვყავს გერმანელ სპეციალისტთა მიერ შემუშავებული რბენის განრიგე პირველ ოთხ თვეზე.

პასეაბი

ასაკი	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე
7-9 წელი	7 წუთი	10 წუთი	18 წუთი	16 წუთი
10-13 წელი	8 წუთი	11 წუთი	14 წუთი	17 წუთი
14-18 წელი	9 წუთი	12 წუთი	15 წუთი	18 წუთი
19-24 წელი	10 წუთი	13 წუთი	16 წუთი	20 წუთი
25-34 წელი	10 წუთი	12 წუთი	15 წუთი	18 წუთი
35-44 წელი	8 წუთი	10 წუთი	13 წუთი	16 წუთი
45-59 წელი	6 წუთი	8 წუთი	11 წუთი	14 წუთი
60 წელი	4 წუთი	6 წუთი	9 წუთი	12 წუთი

ქალაზი

ასაკი	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე
7-9 წელი	5 წუთი	8 წუთი	11 წუთი	15 წუთი
10-12 წელი	6 წუთი	9 წუთი	12 წუთი	16 წუთი
13-15 წელი	7 წუთი	10 წუთი	13 წუთი	17 წუთი
16-21 წელი	8 წუთი	11 წუთი	14 წუთი	18 წუთი
22-29 წელი	6 წუთი	9 წუთი	12 წუთი	15 წუთი
30-41 წელი	4 წუთი	7 წუთი	10 წუთი	13 წუთი
41-57 წელი	3 წუთი	5 წუთი	8 წუთი	11 წუთი
58 წელი	2 წუთი	4 წუთი	6 წუთი	9 წუთი

რიგა, ელექტროსტალი

გუშინწინ რიგასა და ელექტროსტალიში დაიწყო კალათბურთული ქალთა XXXVII საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. მოგვყავს ტექნიკური შედეგები.

რიგა. ტტტ (რიგა) — სპი (თბილისი) 64:52, სერბი (ბელგრადი) — მოლოტი (მოსკოვი) — უნივერსიტეტი (ტარტუ) 68:63, „სპარტაკი“ (ლე-

ნიგრადი) — „ბურჯგანი“ (ლენინგრადი) 59:56.

ელექტროსტალი. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 72:68, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 58:56, „კაპიტანის“ (ვილნიუსი) — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) — 59:55.

ბულგარული სტუმრები

გუშინწინ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა ორი ამხანაგური მატჩი პლოდისის (ბულგარეთი) უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტისა და თბილისის უნივერსიტეტის კალათბურ-

თელთა გუნდებს შორის. მასპინძლების უპირატესობა ორივე შეხვედრაში აშკარა იყო. ვაგებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 75:58, ხოლო ქალებმა — 53:40. ა. თაყაშვილი.

საქართველოს უკანსურთელთა ნაკეატება

რაიონის კულტურის სახლში ჩატარდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მონაწილთა პირადი პირველობა სამბოში. წინითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ოზგაძემ (კასპი), ტ. ინასარიძემ, თ. მარხაძემ, ტ. თელიძემ (სამივე — ორჯონიძე), ზ. მარლიშვილმა, ნ. ხუციშვილმა (ორივე — კასპი), უ. ჯანგირაშვილმა (დუშეთი), ი. ცუქერიძემ (ორჯონიძე), ა. უსენიაშვილმა (კასპი). შეჯამრება, რომლის მთავარი მსახი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კიკნაძე, ორგანიზებულად ჩატარდა.

სსრ კავშირის ოთხ ქალაქში დამთავრდა უფროსი ასაკის ფრენბურთულ ქაბუთა და გოგონათა საკავშირო პირველობის ზონალური შეჯიბრებები. თბილისელები ურალსკში გამოლიოდნენ. თბილისის განათლების განყოფილების გოგონათა გუნდმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ს. ტარახნიანი) დამაჯრებლად დაიკავა I ადგილი. ხეცებმა დაამარცხეს ყაზახეთის (3:1), რუსეთის ფედერაციის (3:0), აზერბაიჯანის (3:0) და ლენინგრადის (3:1) გუნდები. მათ მხოლოდ ერთხელ წააგეს — უკრაინის კოლექტივთან (1:3), მაგრამ ამაში მათს სატურნირო მდგომარეობაზე უკვე ვეღარ მოახდინა გავლენა. წარმატებით იასარაგებს თბილისელმა ჯაბუკებმა, რომლებმაც სამი გამარჯვება მოიპოვეს — რუსსრ-ს (3:1), აზერბაიჯანის (3:0), უზბეკეთის (3:2) გუნდებთან, ხოლო ლენინგრადისა (1:3) და ყაზახეთის (2:3) კოლექტივებთან შეხვედრები წააგეს. ჩვენმა ქაბუტებმა II ადგილი დაიკავეს და ფინალში გავიდნენ. ფინალური შეჯიბრებები მარტში ჩატარდება.

მეხტანი

ამას წინათ გაიმართა ზამთრის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი რაიონული შეჯიბრება სათხილამურო სპორტში. 10 კმ-ზე რბენაში ყველას აჯობა ნ. გულბანაძე, სლალომში — ე. ჯაფარიძე. გიგანტურ სლალომში გამარჯვებულმა იქნენ, ფრიდონ და შექერი ჩართოლებმა ერთნაირი შედეგები აჩვენეს.

მ. მავალიანი

ფინალური შეჯიბრებები მარტში ჩატარდება. ზ. ლაონიძე.

ა. მავალიანი

ზ. ლაონიძე.

Charwen Sportske Novosti Welp Sport PRZEGLĄD SPORTOWY

1329 გოლი!

ბელგარეთის გახეთ „ნაროდენ სპორტში“ დაიბეჭდა საინტერესო მასალა მსოფლიოს უძლიერეს სნაიპერ ფეხბურთელებზე. როგორც ირაკვეა, პელეს არ ეკუთვნის გატანილი გოლების აბსოლუტური რეკორდი. სახელგანთქმული ბრაზილიელი უძლიერესთა ათეულში III ადგილზეა.



პორტინა დაამაგვო. ოთხადგილიანი ბოზსლეიებით ევროპის ჩემპიონობა მოიგეს გერმანიის სპორტმენებმა, რომლებმაც ტრასის გავლას 2.40,37 მოაწოდეს. II ადგილზეა ესპანეთის კვარტეტი — 2.42,48, III — რუმინეთის გუნდი — 2.43,18.

სიდანი. ავსტრალიელმა მოსწავლემ, 15 წლის დ. ფონლიმ 400 მეტრზე კომპლექსურ კურსში თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 4.49,9. კარტენ მორასმა, რომელიც ფინლანდიაში წლით უფროსია, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით კურსში 2.11,1 აჩვენა და 0,2 წამით გააუმჯობესა მის მიერვე რამდენიმე დღის წინ დაწყებული ეროვნული რეკორდი. შემდეგ მან 1500 მეტრზე იასპარეზა და აქაც რეკორდით გაიმარჯვა — 18.00,5. მეოთხე რეკორდის ავტორი გახდა დიანა რიკარდო: 400 მეტრზე კომპლექსური კურსი — 5.21,9.

ბალუზა. ქალთა 2000-

მეტრიან კროსში გამარჯვებისთვის საინტერესო ბოძოლა გააჩაღეს 400 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის თანავეტორებმა ნ. დიუკლომ და კ. ბესონმა (ორივე — საფრანგეთი). გაიმარჯვა ბესონმა.

ბუდაპეშტი. ცნობილმა უნგრელმა კალოსანმა ვერა-შმა (კვანძიანი წონა) თავისი კვაყინის ახალი რეკორდი დაამყარა საპროფიში — 505 კგ.

მარინი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ბევრი მსურველი დაესწრო. საშტომში რუმინელებმა იმარჯვეს: კ. კობრუმ 16,15 მ აჩვენა, შ. ჩოკინამ — 15,74. 400 მეტრზე რბენაში მესიეს ოლიმპიადის ჩემპიონმა კ. ბესონმა (საფრანგეთი) 800 მეტრზე ასპარეზობა მოიგო — 2.12,3. ეს მისი ქვეყნის ახალი რეკორდია.

ლოს-ანჯელისი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ავსტრალიის, შვედის, კენიისა და აშშ-ს სპორტსმენები მონაწილეობდნენ. 1000 იარღზე იმარჯვა რ. დაუბელმა (ავსტრალია) — 2.08,1. ერთ მილზე რბენაში ამერიკელმა ჯ. ლაუსონმა (4.00,6) მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონს კ. კეინოს. გ. პაუერსმა (აშშ) დაამარცხა მეორე ოლიმპიური ჩემპიონი ჯ. დევენპორტი — 60 იარღზე თარჯინეში 7 წამი აჩვენა. 60 იარღზე რბენაში გაიმარჯვეს ჯ. კარლოსმა (6,0) და ბ. ფერელემ (6,9).

ჯარ ბრავილია, პეკა ინგლისი და უკუბაი...

ლონდონელი ბუკმეკერები ყველაზე ადრე ეხმაურებოდნენ ხოლმე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის კენჭისყრას და აქვეყნებენ თავიანთ შეხედულებებს, თუ ვის რა შანსი აქვს მომავალ ბრძოლებში.

ახლაც, როგორც კი დამთავრდა 16 ფინალისტის კენჭისყრა, ლონდონელმა ბუკმეკერებმა გამოაქვეყნეს თავიანთი ცხრილი. მათი აზრით, ოქროს ქალღმერთის მოგების ყველაზე მეტი შანსი აქვთ ბრაზილიელებს — ერთი სამიდან. ინგლისელთა და ურუგვაელთა შანსი შეფასებულია ერთი შეიდიდან. შემდგომი შეფარდებები ასეთია: მექსიკა, გერმ — 1:8, სსრკ, კავშირი, იტალია, პერუ — 1:10, ჩეხოსლოვაკია — 1:16, ბულგარეთი, ბელგია — 1:25, შვედია — 1:33, რუმინეთი — 1:50, სალვადორი, ისრაელი, მაროკო — 1:100.

საუბაო დისკალიფიკაცია

კრანტინის ფეხბურთის ფედერაციამ ხელმეორედ განიხილა „ესტუდიანტების“ (ბუენოს-აირესი) მეკავე პოლეტის საქმე. პოლეთი ძალიან უხეშად იქცეოდა „ესტუდიანტებს“ — „მილანის“ მატჩში საკონტინენტაშორისო თასზე, რისთვისაც სამუდამო დისკალიფიკაცია მიეცა. „ესტუდიანტების“ ხელმძღვანელობამ უფრო ლბობიერი განაჩენის მიმართ კვლავ აღძრა საქმე.

უნივერსიადა იმიერპოლარეთში

ზამთრის მორიგი უნივერსიადის ძირითადი შეჯიბრებები ჩატარდება 1970 წლის 2-12 აპრილს ფინეთის ქალაქში — როვანიემიში (ლაპლანდიის ადმინისტრაციული ცენტრი) და პიუტუნტურში.

ფინეთის დედაქალაქიდან ჩრდილოეთით 700 კმ-ზე, როგორც ტუნდრაში ოაზისი, გაშენებულია ქალაქი როვანიემი. როგორც შლადარში ხდება ხოლმე, ომის შემდეგ ლაპლანდიაში გაიზარდა ათასი ტბის ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ქალაქი. მინისა და ბეტონისგან საგები მალალი საცხოვრებელი სახლები, მოხდენილი არქიტექტურული ანსამბლები, სავაჭრო ცენტრები, ლამაზი საბუნებისოები. მასქანებთან ერთად ქუჩაში დიანსავე ირმებზემულ მარსილებს. მალალი სახლების გასწვრივ დგას ლაპლანდიური ქოხები, ირმების საჩვენებელი. ქალაქი თავდება და თვალუწვდომელი ტუნდრა იწყება...

ყოველ წელიწადს როვანიემიში დაახლოებით 50 ათასი ტურისტი ჩადის. როგორც კი ჩაუვლიან ბოძს წარწერით „ჩრდილოეთის პოლარული წრე“, ტურისტებს შეუძლიათ მცირე საფასური გადაიხადონ და მიიღონ მოწმობა, რომ პოლარული წრე გადალახული აქვთ.

ახლაგზრდა ქალაქს უკვე აქვს თავისი სპორტული, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზამთრის სპორტული“ ტრადიციები. აქ რეგულარულად ტარდება საერთაშორისო შეჯიბრებები. ქალაქს აქვს შესანიშნავი სათბილამურო ტრასები, ორი ტრამპლინი (65-მეტრიანი და 90-მეტრიანი). ერთ-ერთ მათგანზე შარშანდელი წლის ბოლოს გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადელმა ვ. ბელუხოვმა — გერმანიის ოლიმპიადის ჩემპიონმა. ქალაქში, სადაც 27 ათასი

ზოგჯერ მუშტიც სახამოვნოა, — ამ აზრისაა სახელგანთქმული ინგლისელი მოკრივე ალან რაჯინი (მჩატე წონა), რომელიც სადნეში ჩავიდა საასპარეზოდ. „წყნარი ოკეანის დედოფალი“, ავსტრალიელი ბელიონა ტაუბმანი (მარცხნივ) და კალიფორნიელი ჯონ ვალენტი პიროტად იყენებენ სპორტსმენის მეგობრულ განწყობილებას.



მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა: ფედერაციამ ხელმეორედ დაადასტურა პოლეტის სამუდამო დისკალიფიკაცია.

ჩემპიონთა თასი — „ისპალიას“

გეგმულად გათამაშდა აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. უფინ წარმატება ხვდათ „ორიქსს“ (კამერუნი), „სტად აბილიანს“ (სპილეს ძვლის ნაპირი) და ორჯერ — კონგოს „ტბ ენგლბერტს“ (კინშასა). მეხუთე გათამაშების ფინალში გავიდნენ „ტბ ენგლბერტი“ და ეგვიპტის ჩემპიონი — კაიროს „ისპალია“. პირველი მატჩი კინშასაში ფრედ (2:2) დამთავრდა, კაიროში კი ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „ისპალიამ“ და თასსაც დაუფლა.

აზრიის თასზე

უკრაინის თასი ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის დასასრულს უახლოვდება. შესარჩევი მატჩების შემდეგ ფინალში გავიდნენ კამერუნის, სპილოს ძვლის ნაპირის, სურნანის, ეთიოპიის, კონგოს (კინშასა), გაბონის, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკისა და გერმანიის გუნდები. მათი დასკვნითი შეჯიბრება 6-16 თებერვალს გაიმართება ხარტუმში.

3 ქულა ჩემპიონებს

ჩუბოლაჰის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომისიამ 3 ქულა ჩამოაწერა I ლიგის გუნდ „ოლიმპიას“ (ლიუბლიანა), რომელმაც 2 ქულის დათმობა მოსთხოვა ერთ-ერთ გუნდს. ეს საიდუმლო მოლაპარაკება შეიტყო ფედერაციამ, რომელმაც დაუყოვნებლივ მიიღო საჭირო ზომები.

პროლოგ 4 დაუპირისპირი

უკრაინის სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატებში, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, მხოლოდ 4 გუნდი იბრძვის დაუპირისპირებლად. ესენი არიან: რეტერდამის „ფეიენოორდი“ (პოლანდია), იზმირის „ალთაი“ (თურქეთი), „ფკ არდანი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) და ათენის „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი).

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

დღეს


ლენინის სახელობის სტადიონზე (ორჯონიძის ქ. № 52) მუშაობას დაიწყებს მალაოზნობის მსაჯთა მოსამსახურებელი სემინარი.

სემინარის შემდეგ მსაჯები მოემსახურებიან საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებს.

მსაჯობის კატეგორიის მიღების მსურველებს ვთხოვთ პირველ მეცადინეობაზე გამოცხადდნენ 18 საათზე.

თბილისის მალაოზნობის მსაჯთა კოლეგიის პრაზიდენტი.

თბილისის სპორტის სნასალე



30 იანვარი-1 თებერვალი

თავისუფალი ვიდეოგა

თბილისის IX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი დასაწყისი 12 და 19 ს.

